ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N6

30 მარტი, 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ლევან ჟორჟოლიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. თინათინ ნიბლოშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ქეთევან მამულაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა

   მომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოდგენის შემდეგ, დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ქალბატონმა მაკა ნასრაშვილს. მისი განმარტებით, ქართული მრავალხმიანი სიმღერების პოპულარიზაციისა და სხვადასხვა საშემსრულებლო ხელოვნების კუთხით, დღემდე არსებობდა იდენტური ფუნქციების მქონე ორი სუბიექტი და ისინი დაფინანსებას იღებდნენ, როგორც თვითმმართველის ბიუჯეტიდან, ასევე სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. ფუნქციების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, გაიმართა უწყებებს შორის მოლაპარაკება და გადაწყდა, რომ ფოლკლორის სასახლის ფუნქციებს შეითავსებს ანსამბლი ,,რუსთავი'' და ასევე, ანსამბლი ,,მართვე'', რომელიც ფუნქციონირებდა ფოლკლორის სასახლის ბაზაზე. საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გააკეთა პრეზენტაცია, სადაც აღნიშნა, რომ აღარ მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დუბლირება და დარჩება მხოლოდ ერთი ანსამბლი ,,რუსთავი.''

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, ქალბატონი მაკა ნასრაშვილის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, კომისიის წევრებს სთხოვა, წარმოედგინათ კითხვები დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონი ირაკლი ზარქუა დაინტერესდა გამოთავისუფლდებოდა, თუ არა ,,თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლისთვის'' თბილისის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა, რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა უპასუხა, რომ გამოყოფილი 320 000 ლარი სრულად გამოთავისუფლდება. მისივე განმარტებით, „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის'' თანამშრომლები უკვე გადავიდნენ ახალ სამუშაო პოზიციებზე.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ ხსენებული 320 000 ლარი კვლავ კულტურის სფეროსთვის დაიხარჯება.

საკრებულოს წევრი, ბატონი ლევან ჟორჟოლიანი, დაინტერესდა გადავიდოდნენ თუ არა „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის'' თანამშრომლები სამუშაოდ

ანსამბლ ,,რუსთავში'', რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრთან მოლაპარაკები. საფუძველზე. მისივე თქმით, „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის'' დირექტორი, ბატონი შალვა ლორთქიფანიძე გადადის ანსამბლ ,,რუსთავში''. ასევე, მერიის წარმომადგენლის განმარტებით, არ მცირდება სასახლის თანამშრომლების რაოდენობა.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ დედაქალაქი ინარჩუნებს ანსამბლს ,,მართვე'', ის კვლავ გაგრძელდებს აქტივობებს, რომელიც დედაქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია. ამასთან, ანსამბლში დასაქმებული ადამიანები გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და რეალურად სამუშაო პროცესი არ წყდება, რაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების თანამშრომლობის კარგი მაგალითია.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის ინფორმაციით, მალე გაუმჯობესდება ანსამბლ ,,მართვეს'' ბაზა და იგი საქმიანობას გაძლიერებული ფორმატით გააგრძელებს. მისივე თქმით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აქვს დამატებითი გეგმები ანსამბლ ,,რუსთავის'' გაძლიერებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში ტექნიკური ხარვეზია და მის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61.2 მუხლი. აღნიშნულს დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარეც.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

მაკა ნასრაშვილმა, თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი ზარქუამ, ლევან ჟორჟოლიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი განსახილველად საკრებულოსთვის გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	4
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

გადაწყვიტეს: კომისიის სხდომაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსმენის, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ: კომისია დადებითად აფასებს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ **202056069)** ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული საკითხის მიმართ და მხარს უჭერს მის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი